წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ო ქ მ ი № 15

ქ. წყალტუბო 22 ოქტომბერი, 2024 წელი

2024 წლის 22 ოქტომბერი, 13:00 საათზე, ჩატარდა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა.

სხდომას თავმჯდომარეობდა: თეიმურაზ ჭეიშვილი - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ: საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე - კობა გურეშიძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები : სერგო კირკიტაძე და გიორგი დოლიძე.

საკრებულოს კომისიების თავმჯდომარეები: მაკა ჭელიძე, შალვა კილაძე, რევაზ დიდავა, ლევან ჩანქსელიანი;

ფრაქციის თავმჯდომარე- გიორგი ფაჩუაშვილი;

წევრები: ნაილი ჭოლაძე, ჯეირან ომანაძე, გრიგოლ მაღლაფერიძე, სალომე ჯიმშელეიშვილი, ვასილ მხეცაძე, ირინე ცაავა, იასონ ბზიკაძე, ხათუნა მაღლაკელიძე, ავთანდილ მხეიძე, ალექსანდრე ნიქაბაძე, ნინო ჭეიშვილი, ვეფხვია ბანძელაძე, სოფიო ბოლქვაძე, რუსუდან მანაგაძე, გელა ბურჯალიანი,ნარგიზა ტყაბლაძე;

სხდომას არ ესწრებოდნენ: არჩილ ღიბრაძე, ნოდარ ასათიანი, ვლადიმერ ხურცია, ლატავრა ბენდელიანი, ომარ სინაურიძე, დავით ხიდეშელი, ზურაბ ლექვინაძე, მამუკა ჩხეტიანი, დევი დოლაბერიძე, ფიქრია ერემეიშვილი, თენგიზ გოგელია, ავთანდილ გაბუნია, გალაქტიონ ხარაბაძე, ზურაბ იოსელიანი.

სხდომას ასევე ესწრებოდნენ: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი-ფატი გაგოშიძე, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი - ნათია ჩაკვეტაძე, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის დასუფთავების ცენტრი''-ს დირექტორის მოადგილე ნუგზარ ჩირგაძე, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრი''-ს დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი ვერა ზურაბიანი, საკრებულოს აპარატის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - აპარატის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი-მაია ბერაძე, საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე-მზია კიკალიშვილი, საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო, საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი-განყოფილების უფროსი - ალექსანდრე დადუნაშვილი და საკრებულოს აპარატის საჯარო მოხელეები.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა გახსნა საკრებულოს თავმჯდომარე თეიმურაზ ჭეიშვილმა და სხდომის მონაწილეებს, საკრებულოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1.წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2024 წლის მესამე კვარტლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდის განკარგვის შესახებ, ინფორმაციის თაობაზე.

/მომხს:ხათუნა მაღლაკელიძე, თანამომხს: ფატი გაგოშიძე

2.წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ბალანსზე არსებული განპიროვნებული და სამორიგეო ავტომობილებისათვის გამოყოფილი ყოველთვიური საწვავის ლიმიტის განსაზღვრის შესახებ" წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 31 აგვისტოს № 36 146 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/ მომხს:ხათუნა მაღლაკელიძე/

3. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ.

/მომხს: მაკა ჭელიძე/

4.წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის მიერ 2024 წლის I-II კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.

/მომხს:შალვა კილაძე,თანამომხს: ნათია ჩაკვეტაძე/

5.არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის დასუფთავების ცენტრი"-ს მიერ 2024 წლის I-II კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.

/მომხს:რევაზ დიდავა,თანამომხს:დავით იობიძე/

6.არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრი"-ს მიერ 2024 წლის I-II კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.

/მომხს:ლევან ჩანქსელიანი,თანამომხს: ვერა ზურაბიანი/

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე თეიმურაზ ჭეიშვილმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი.
მომხრე -25
წინააღმდეგი -0
დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1.მ ო ი ს მ ი ნ ე ს: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო

კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ხათუნა მაღლაკელიძის მიერ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2024 წლის მესამე კვარტალის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდის განკარგვის შესახებ, ინფორმაციის თაობაზე".

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს მიმართა, რომ დაესვათ შეკითხვები, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები.

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს : საკრებულოს წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

დ ა ა დ გ ი ნ ე ს: ცნობად იქნეს მიღებული ინფორმაცია, ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2024 წლის მესამე კვარტალის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდის განკარგვის შესახებ" და მომზადდეს შესაბამისი სამართლებრივი აქტი/ თან ერთვის ოქმს/.

2.მ ო ი ს მ ი ნ ე ს: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ხათუნა მაღლაკელიძის მიერ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ბალანსზე არსებული განპიროვნებული და სამორიგეო ავტომობილებისათვის გამოყოფილი ყოველთვიური საწვავის ლიმიტის განსაზღვრის შესახებ" წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 31 აგვისტოს № 36 146 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე".

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს მიმართა, რომ დაესვათ შეკითხვები, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები.

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს : საკრებულოს წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარე თეიმურაზ ჭეიშვილმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი პროექტი.

მომხრე-25

წინააღმდეგი-0

დ ა ა დ გ ი ნ ე ს: განკარგულების პროექტი ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ბალანსზე არსებული განპიროვნებული და სამორიგეო ავტომობილებისათვის გამოყოფილი ყოველთვიური საწვავის ლიმიტის განსაზღვრის შესახებ" წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 31 აგვისტოს № 36 146 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე". მიღებული იქნეს წარმოდგენილი ფორმით და მომზადდეს შესაბამისი სამართლებრივი აქტი/ თან ერთვის ოქმს/.

3.მ ო ი ს მ ი ნ ე ს: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე მაკა ჭელიძის მიერ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღურების შესახებ".

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს მიმართა, რომ დაესვათ შეკითხვები, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები.

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს: საკრებულოს წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარე თეიმურაზ ჭეიშვილმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი პროექტი.

მომხრე-25

წინაა

წინააღმდეგი-0

დ ა ა დ გ ი ნ ე ს: განკარგულების პროექტი ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღურების შესახებ'' მიღებული იქნეს წარმოდგენილი ფორმით და მომზადდეს შესაბამისი სამართლებრივი აქტი/ თან ერთვის ოქმს/.

4.მ ო ი ს მ ი ნ ე ს: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე შალვა კილაძის მიერ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის მიერ 2024 წლის I-II კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.''

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს მიმართა, რომ დაესვათ შეკითხვები, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები.

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს: საკრებულოს წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარე თეიმურაზ ჭეიშვილმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი პროექტი.

მომხრე-25

წინააღმდეგი-0

დ ა ა დ გ ი ნ ე ს: განკარგულების პროექტი ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის მიერ 2024 წლის I-II კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ'' მიღებული იქნეს წარმოდგენილი ფორმით და მომზადდეს შესაბამისი სამართლებრივი აქტი/ თან ერთვის ოქმს/.

5. მ ო ი ს მ ი ნ ე ს: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე რევაზ დიდავას მიერ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის დასუფთავების ცენტრი''-ს მიერ 2024 წლის I-II კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ''.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს მიმართა, რომ დაესვათ შეკითხვები, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები.

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს : საკრებულოს წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.სხდომის თავმჯდომარე თეიმურაზ ჭეიშვილმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი პროექტი.

მომხრე-25

წინააღმდეგი-0

დ ა ა დ გ ი ნ ე ს: განკარგულების პროექტი ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის დასუფთავების ცენტრი''-ს მიერ 2024 წლის I-II კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ'' მიღებული იქნეს წარმოდგენილი ფორმით და მომზადდეს შესაბამისი სამართლებრივი აქტი/ თან ერთვის ოქმს/.

6. მ ო ი ს მ ი ნ ე ს: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე ლევან ჩანქსელიანის მიერ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტურიზმის

განვითარების საკოორდინაციო ცენტრი''-ს მიერ 2024 წლის I-II კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ''.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს მიმართა, რომ დაესვათ შეკითხვები, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები.

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს :საკრებულოს წევრმა ხათუნა მაღლაკელიძემ ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრი''-ს დირექტორის მოვალეობის შემსრულებელს ვერა ზურაბიანს მიმართა შეკითხვით: გამოფენების მოწყობას ხომ არ გეგმავთ?

ვერა ზურაბიანმა აღნიშნა: დიახ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრი გამოფენების მოწყობას გეგმავს პოლონეთში, ყაზახეთში, ბალტიისპირეთში და სხვა ქვეყნებში. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრმა რეგიონის ტურისტული პროდუქტები ქალაქ რიგაში საერთაშორისო ტურისტულ გამოფენაზე წარადგინა. გამოფენაზე წყალტუბოს ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრი წარმოდგენილი იყო აჭარის ტურიზმის დეპარტამენტთან ერთად.

წყალტუბოს ტურისტულ პოტენციალს გაეცნენ სტამბოლის EMITT 2024 წლის გამოფენაზე. რომელშიც მონაწილეობა მიიღო მსოფლიოს 95 ქვეყნიდან 595 ტურისტულმა ორგანიზაციამ. გამოფენას 150-ზე მეტი ტუროპერატორი ესწრებოდა.

წყალტუბოს ტურისტულ პროდუქტებს ბალტიისპირეთის ქვეყნებშიც გაეცნენ.

2024 წლის -8 მარტს ბათუმში კომპანია EXO BATUMI-ის ორგანიზებით გაიმართა წიგნისა და განათლების მე-2 საერთაშორისო გამოფენა,რომლის მიზანი იყო საგამომცემლო სექტორის განვითარების ხელშეწყობა და თანამედროვე ტექნოლოგიების გაცნობა. გამოფენაზე მიწვეული იყო არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრი''.

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრი'' იმყოფებოდა სვანეთში , კერძოდ მესტიაში, გემო- ფესტის გახსნაზე.

სხდომის თავმჯდომარე თეიმურაზ ჭეიშვილმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი პროექტი.

მომხრე-25

წინააღმდეგი-0

დ ა ა დ გ ი ნ ე ს: განკარგულების პროექტი ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრი''-ს მიერ 2024 წლის I-II კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ'' მიღებული იქნეს

წარმოდგენილი ფორმით და მომზადდეს შესაბამისი სამართლებრივი აქტი/ თან ერთვის ოქმს/.

სხდომის თავმჯდომარე: თეიმურაზ ჭეიშვილი

საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო,
საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების
მართვის განყოფილების მესამე რანგის მეორე
კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ნონა ტაბიძე